

ცვლილებები ძალაშია **21.05.2025-დან**.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილება-დამატებები:

საბანკო მომსახურების პირობებს დამატოს შემდეგი შინაარსის 20² მუხლი:

მუხლი 20². ღია ბანკინგი (Open Banking) - მონაცემების გაზიარების წესები და პირობები

1. ღია ბანკინგის ფარგლებში, კლიენტი შეარჩევს პროვაიდერს და პროვაიდერთან განაცხადებს თანხმობას პროკრედიტ ბანკიდან (შემდგომში „ბანკი“) ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ. ასეთი ფორმით პროვაიდერთან გაცხადებული თანხმობა შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი.
2. თუ ინფორმაციის გამოთხოვა მრავალჯერადია, კლიენტი აცნობიერებს, რომ პროვაიდერს შეუძლია 24 საათის განმავლობაში ავტომატურად, მრავალჯერადად გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ ცნობილი რაოდენობით (მაქსიმუმ 4-ჯერ).
3. ბანკიდან ინფორმაციის გამოთხოვის უფლება გულისხმობს ბანკში დაცული ყველა იმ ინფორმაციის (მათ შორის პერსონალური მონაცემების) გამოთხოვას, რომელიც ხელმისაწვდომია ღია ბანკინგით და რომელზეც კლიენტს აქვს გაცხადებული თანხმობა.
4. კლიენტისათვის ცნობილია, რომ ბანკის მხრიდან პროვაიდერთან ინფორმაციის გაზიარების შეწყვეტა ნებისმიერი მიზეზით (მათ შორის ვადის გასვლით ან კლიენტის ქმედებით) არ გულისხმობს კლიენტის მიერ შერჩეული პროვაიდერისთვის უკვე გადაცემული ინფორმაციის დამუშავების შეწყვეტას ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით ინფორმაციის უკან გამოთხოვას, გაუქმებას/განადგურებას. სურვილის შემთხვევაში, კლიენტმა თავად უნდა მიმართოს პროვაიდერს მასთან დაცული ინფორმაციის გასანადგურებლად.
5. ინფორმაციის სხვა პროვაიდერისათვის გადაცემის შემდეგ ბანკი კარგავს ამ ინფორმაციის ნებისმიერი სახით დაცვაზე ეფექტურ კონტროლს. შესაბამისად, ბანკი არ აგებს პასუხს ნებისმიერი სახის შესაძლო ზიანზე/დარღვევაზე, რომელიც შეიძლება დადგეს კლიენტის მიერ შერჩეული პროვაიდერის მხრიდან ამ ინფორმაციის საკუთარ სისტემაში გადანერით/გადატანით ან შემდგომ ეტაპებზე მიზნობრივად ან/და არამიზნობრივად დამუშავების შედეგად, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კლიენტისათვის ცნობილია, რომ ღია ბანკინგის ფარგლებში, ბანკი ასრულებს კლიენტის დავალებას მის მიერ შერჩეული პროვაიდერის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი გადაცემის შესახებ.
6. კლიენტს შეუძლია ინტერნეტ ბანკინგში, თანხმობების მართვის გვერდზე ნახოს ღია ბანკინგის ფარგლებში ბანკის მიერ პროვაიდერისთვის გაზიარებული ინფორმაცია. ასევე, კლიენტს შეუძლია ამ გვერდიდანვე გააუქმოს/შეწყვიტოს/გამოითხოვოს გაცემული თანხმობა ბანკის მიერ პროვაიდერისთვის ინფორმაციის გაზიარების შესახებ.
7. ღია ბანკინგის ფარგლებში ინფორმაციის გაზიარების საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვის ან/და პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში კლიენტი უფლებამოსილია მიმართოს ბანკს (geo.info@procredit-group.com ან +(995 32) 2202222).